

ეთერ ქავთარაძე
ფილოლოგიის დოქტორი
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
არქივთმცოდნეობისა და ელექტრონული არქივის
განყოფილების გამგე
თბილისი, საქართველო

ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთი ინგლისურენოვანი თარგმანის შესახებ

რეზიუმე: ვეფხისტყაოსნის ყოველი ახალი თარგმანი ან თარგმნის მცდელობაც კი ნებისმიერ ენაზე მნიშვნელოვანი ფაქტია და ახალი შტრიხით ავსებს რუსთველოლოგიურ შტუდიებს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია თვალსაჩინო ლიტერატურათმცოდნისა და მთარგმნელის დალი ინწკირველის არქივი, სადაც ინახება ვეფხისტყაოსნის მის მიერ შესრულებული ინგლისურენოვანი თარგმანის ნუსხების შავი და თეთრი ვარიანტები. აქვეა მისი საყურადღებო სტატიები, რომლებშიც ნაჩვენებია რუსთაველის პოემის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

ამ თარგმანის ნაწყვეტები – პროლოგი და ავთანდილის ანდერძი – 2000 წელს, მისსავე სიცოცხლეში, დაიბეჭდა და რეცენზენტთა დადებითი შეფასება მიიღო.

მთარგმნელის პირადი არქივიდან ნათლად იკვეთება მისი დამოკიდებულება თარგმანის ხელოვნებისადმი. უამრავი ჩანაწერ-ამონაწერი აჩვენებს ავტორის თარგმანზე მუშაობის პროცესს. მას ღრმად და საფუძვლიანად შეუსწავლია რუსთველოლოგიური ლიტერატურა და პოემის თარგმნის ისტორია.

დალი ინწკირველის ეს თარგმანი იმსახურებს სპეციალისტთა ყურადღებას.

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, თარგმანი, ინგლისურენოვანი, ინწკირველი

Abstract: Each new translation of the Knight in the Panther's Skin into any language, even an attempt of a translation, is a significant fact that adds the new touches to Rustaveli studies.

The archive of outstanding literary scientist and translator, Dali Intskirveli, preserved at the National Center of Manuscripts, contains both rough and finalized versions of English translation of the Knight in the Panther's Skin. The archive also includes important articles by the author indicating importance of Rustaveli's place in World literature.

Fragments of this translation – Prologue and Avtandil's Will were published in 2000, when the author was still alive and were positively evaluated by the reviewers.

The translator's personal archive clearly demonstrates her attitude to the art of translation. Numerous records and notes show the process of author's work on translation. She conducted a thorough and in-depth research of the literature in the sphere of Rustaveli studies and the history of poem's translation.

This translation by Dali Intskirveli, indeed, deserves a special attention of specialists.

Key words: The Knight in the Panther's Skin, Translation, English, Intskirveli

ვეფხისტყაოსნის ყოველი ახალი თარგმანი ან თარგმნის მცდელობაც კი ნებისმიერ ენაზე მნიშვნელოვანი ფაქტია და ახალი შტრიხით ავსებს რუსთველოლოგიურ შტუდიებს. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ დალი ინჭკირველის არქივში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს მისმა ძმისწულმა, ხელოვნებათმცოდნემ და ხატმწერმა, თეა ინჭკირველმა შესწირა, ინახება მის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის სრული ინგლისურენოვანი თარგმანის ავტოგრაფული ნუსხების შავი და თეთრი ვარიანტები. სანამ ამ თარგმანის შექმნის ისტორიას შევხებით, ორიოდ სიტყვა მთარგმნელზე.

დალი ინჭკირველი ქართულ სამეცნიერო და ლიტერატურულ სივრცეში გასული საუკუნის სამოციან წლებში შემოვიდა და იმჟამინდელ მეცნიერთა და ლიტერატორთა ელიტის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. არქივში დაცული მისი შრომებისა და თარგმანებისადმი მიძღვნილი რეცენზიები და გამოხმაურებები ნათლად მეტყველებს მის ადგილსა და როლზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

თანამედროვე თვალთახედვიდან ამ როლის სწორად განსაღვრისათვის მოვიხმობთ რამდენიმე ციტატას. დალი ინწკირველი 1973 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (2006წ.) მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილებაში. ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები იმ რეცენზიებიდანაა, რომლებიც მის მიერ აქ შესრულებულ წლიურ თემებს მიეძღვნა.

ბაჩანა ბრეგვაძე: დალი ინწკირველისთვის სრულიად უცხოა სწორხაზოვანი, ცალმხრივი ან, თუ გნებავთ, ერთგანზომილებიანი დამოკიდებულება განსახილველი პრობლემის მიმართ. თარგმანის ღირსება თუ ნაკლი, სისუსტე თუ ძალმოსილება, სიცხადე თუ ბუნდოვანება, მთარგმნელის უდავო მიღწევა თუ ასევე უდავო მარცხი, ყველაფერი ეს პროფესიული თვალსაზრისითაა განხილული, გულდასმით გაანალიზებული და გაშუქებული. აზრის დინება ლაღია და თავისუფალი. ენა – სადა, მკაფიო, დახვეწილი, რაც ჩემს თვალში ერთიორად ზრდის და ამაღლებს სარეცენზიო შრომის ღირსებას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დალი ინწკირველის არქივი)¹.

ეს რეცენზია მიეძღვნა დალი ინწკირველის მიერ 1976 წელს წარმოდგენილ წლიურ ნაშრომს, რომელშიც განხილული იყო დანტეს *ღვთაებრივი კომედიის* კონსტანტინე გამსახურდიასეული ქართული თარგმანი.

დავით ლაშქარაძე: საატესტაციო პერიოდში დალი ინწკირველმა გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომები: „დანტე და ქართული ლიტერატურა“ (მონოგრაფია), „ბალავარიანი ესპანურ ლიტერატურაში.“ მასვე ეკუთვნის ემილი დიკინსონის ლექსების თარგმანი ინგლისურიდან. წლიური თემატიკის შერჩევის დროს დალი ინწკირველი ამჟღავნებს ფართო მეცნიერულ ალღოს და არ უქვემდებარებს პრობლემების განსაზღვრას ამა თუ იმ ენის ცოდნას. ყოველი თემისათვის ის სპეციალურად სწავლობს იმ უცხო ენას, რომელზედაც ყველაზე ვრცლად არის წარმოდგენილი განსახილველი ლიტერატურა (*Ibid.*)

ბეჟან გიორგაძე: ნარკვევის ავტორმა ლიტერატურული ალღო გამოამჟღავნა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ინგლისურიდან ბრწყინვალე თარგმანით გაგვაცნო თავი თავისი დახვეწილი ქართული ენის მდიდარი მიმოქცევების უშრეტ წყაროთი. მისი მახვილგონიერება ნატიფ ესთეტიურობაშია ჩამოძერწილი. ბევრი ნაფიქრი და ნააზრი ხელს უწყობს ლაკონიურ თქმაში უხვად ჩატიოს გონებით განჭვრეტილი ხატოვანება. თუ დალი ინწკირველი წარმოდგენილი შრომით იწყებს

1. აქ და ქვემოთ ყველგან ციტატების გამოყენების დროს მხოლოდ საარქივო მასალის დაცულობის ადგილს ვუთითებთ, რადგან არქივი დამუშავების პროცესშია და სამუზეუმო ერთეულის ნომერი ჯერ მინიჭებული არ აქვს.

სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლას, უნდა ვაღიარო, რომ ეს არის დასრულებული ნარკვევი, რომელსაც ჯერ ტოლი არ მოეძებნება. დანტეს ნაწარმოებისადმი მიძღვნილი ასეთი ხასიათისა და დონის ლიტერატურული გარჩევა ქართულად არ მეგულება. სასურველია ამ ნაშრომის დაბეჭდვა და ამავე დროს იტალიურად თარგმნა (*Ibid.*)

რეცენზია მიეძღვნა დალი ინწკირველის 1975 წელს შესრულებულ წლიურ თემას „დანტეს ‘ახალი ცხოვრებისა’ და ‘ჯოჯოხეთისა’ ქართული თარგმანები“, რომელშიც განხილულია ბაჩანა ბრეგვაძისა და თამაზ ჩხენკელის მიერ შესრულებული თარგმანები.

დავით წერედიანი: დალი ინწკირველს ვიცნობთ, როგორც შესანიშნავ მთარგმნელსა და ლიტერატურის მკვლევარს, რომლის ესეები გვზიზიანებს ღრმა და საინტერესო ინტუიციური წვდომებითა და ფართო ერუდიციით. ესპანური სამყარო მისთვის ძალიან ახლობელია და ამდენად გასაკვირი არაა, რომ იგი ამჯერად ესპანური და ქართული ფოლკლორის ურთიერთშეპირისპირებით დაინტერესდა (*Ibid.*)

რეცენზია მიეძღვნა დალი ინწკირველის მიერ 1996 წელს შესრულებულ წლიურ თემას „სიკვდილის თემა ქართულ და ესპანურ ფოლკლორში“.

ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გაცემულ ერთ დახასიათებაში წერია: „დალი ინწკირველი ის პიროვნებაა, რომელსაც ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქართული ლიტერატურისათვის. ის კარგად ფლობს ევროპულ ენებს“ (*Ibid.*) ეს დახასიათება 1995 წლითაა დათარიღებული.

დალი ინწკირველმა მართლაც მოუტანა ეს „სარგებლობა“ ქართულ და, შეიძლება ითქვას, ზოგადად მხატვრულ ლიტერატურას. იგი სამი მიმართულებით ემსახურებოდა ქართულ სიტყვიერებას: როგორც მსოფლიო კლასიკის მაღალი რანგის მთარგმნელი ქართულ ენაზე ინგლისური, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური ენებიდან. არასოდეს უსარგებლია შუალედური ენით; როგორც გამორჩეული ნიჭიერების მქონე მეცნიერი და მაღალი კვალიფიკაციის ფილოლოგი, რომელიც საკვლევ ნაწარმოებს, მთლიანად მწერლის შემოქმედებას თუ ლიტერატურულ პრობლემებსა და პროცესებს კონტექსტუალურად განიხილავდა, არკვევდა მის ადგილს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში და შეისწავლიდა ფილოსოფიური, ბიბლიური, მითოსური, ისტორიული რეალიების გათვალისწინებით. უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ ალუზიას, როგორც ლიტერატურული პროცესების მთლიანობაში დანახვის, გლობალური ჭვრეტის საშუალებას; დასასრულ, როგორც თავადაც მხატვრული სიტყვის ოსტატი. მისი მშვენიერი ლექსები და ესეისტური ნაღვაწი უდავოდ იმსახურებს

გამოქვეყნებას და მკითხველი საზოგადოებისათვის დროულად მიწოდებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დალი ინწკირველი შემთხვევით კი არა, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა შემცველობის გათვალისწინებით ირჩევდა სათარგმნ ლიტერატურას. თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ფონზე ძნელი წარმოსადგენია, ალბათ, თუ რა რთული იქნებოდა მისთვის ამ ნაწარმოებებზე ინფორმაციის მიღება, მათი წაკითხვის საშუალების გამოძებნა და ნაწარმოების ფიზიკურად მოპოვება. მით უფრო იმ რეჟიმის დროს, როცა საზღვრის იქით თვალის მიპყრობაც კი დანაშაულად ითვლებოდა. სოციალისტური ყოფის ზეობის ხანაში უცხოური ლიტერატურიდან რუსულ ენაზე შედარებით მეტი ნაწარმოები ითარგმნებოდა, რომელზედაც საბჭოთა მოქალაქეს უპრობლემოდ მიუწვდებოდა ხელი, მაგრამ დალი ინწკირველისათვის მხოლოდ ორიგინალის ენიდან თარგმნა იყო მისაღები. ასე ააჟღერა მან ქართულ ენაზე საბჭოთა სივრცეში პირველად ემილი დიკინსონის პოეზია, ჟან კოკტოს პიესა, კალდერონის დრამა, ფრანჩესკო პეტრარკას, რედიარდ კიპლინგის, ათანასე ფეტის და კიდევ ბევრი ცნობილი ავტორის ცნობილი ნაწარმოებები.

როგორც მთარგმნელი, ის ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაზეც ზრუნავდა. თარგმნიდა ვაჟას და გალაკტიონს ინგლისურ ენაზე. არქივში დაცულია მის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი გალაკტიონის რჩეული ლექსები, ავტოგრაფული ნუსხა და ნაბეჭდი ვარიანტი ღრმა და უაღრესად საინტერესო შესავალი წერილით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამ მიმართულებით მისი მთარგმნელობითი საქმიანობის ყველაზე საინტერესო შედეგი *ვეფხისტყაოსნის* ინგლისურენოვანი თარგმანია.

დალი ინწკირველი *ვეფხისტყაოსნის* ინგლისურ ენაზე თარგმნის იდეამდე შემთხვევით არ მისულა. რუსთაველის პოემა მისთვის იყო საზომი, რომლის შუქზეც განჭვრეტდა ლიტერატურულ პროცესებს. გალაკტიონისადმი მიძღვნილ სტატიას „მზიური ზმანებანი“ იგი ასე იწყებს: „გალაკტიონის პოეზია, ისევე როგორც ფსალმუნთა წიგნის ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანი და რუსთაველის *ვეფხისტყაოსანი*, ქართველი ერის მაღალი სულიერების გამომხატველია“ (*Ibid.*) თუმცა რუსთაველს იგი მხოლოდ ქართული ლიტერატურის კონტექსტში არ მოიზარებდა. მისი შრომები რუსთველოლოგიაში კარგად წარმოაჩენს, თუ რა ადგილს მიუჩენს მეცნიერი *ვეფხისტყაოსანს* საერთაშორისო ასპარეზზე. რაც მთავარია, თავის ვრცელ გამოკვლევებსა და მონოგრაფიულ შრომებში პოემას იგი მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ქრილში განიხილავდა.

გარდა გამოქვეყნებული შრომებისა, არქივში წავაწყდით ამონაწერებსა და ჩანაწერებს რუსთაველის პოემის შესახებ. არქივში ინახება ოცდაათზე მეტი საერთო რვეული ჩანაწერ-ამონაწერებით და ამ ამონაწერებზე გაკეთებული კომენტარებითა და შენიშვნებით. ამ მასალის თავმოყრა, თუნდაც ასე ფრაგმენტულად, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან რუსთაველოლოგიურ კვლევებში. პოემაში იგი წარმატებულად ეძებს ბიბლიურ ალუზიებს. ერთი ასეთი მაგალითი: მოყავს ციტატა ეკლესიასტიკიდან (თავი 7, მუხლი 1): „უმჯობეს სახელი უფროის წყალობისა კეთილისა და დღეი სიკვდილისაი უფროის დღისა მის შობისა“. რუსთაველი: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.“

ასე სტროფ-სტროფ, სტრიქონ-სტრიქონ მიჰყვება იგი პოემის ტექსტს და ძირითადად ქრისტიანული კულტურის წიაღში ეძებს აზრობრივ პარალელებსა თუ პირდაპირ ლიტერატურულ ალუზიებს.

დალი ინწკირველის არქივში დაცულია კიდევ ერთი ვრცელი გამოკვლევა „დანტე და რუსთაველი. რეალისტური ასპექტები“. გამოკვლევა 46 გვერდს შეიცავს. იგი მის არცერთ კალენდარულ ბიოგრაფიაში (CV) არაა შეტანილი ცალკე შრომად. სავარაუდოდ, გამოუქვეყნებელია, თუ მის რომელიმე მონოგრაფიაში არაა ჩართული. ხელნაწერი ავტოგრაფია. ნაშრომში განხილულია რეალურისა და ირეალურის გამოსახვის საშუალებები ამ ორ შემოქმედთან. მკვლევარი ასკვნის, რომ ეს საშუალებები განსხვავებულადაა წარმოდგენილი დანტესთან და რუსთაველთან. თავისი ეს დასკვნა ნაშრომში მის მიერ ხაზგასმულია კურსივით: „რუსთაველის ჰიპერბოლაში რეალური მკვეთრად არის გამოიჯნული ირეალურისაგან. დანტესთან კი – პირიქით, ირეალური რეალურს ერწყმის ჰარმონიულად“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დალი ინწკირველის არქივი, დანტე და რუსთაველი. რეალისტური ასპექტები 39).

დალი ინწკირველმა რუსთაველის პოეტურ სამყაროში ამ დონის ჩართულობის შემდეგ მოჰკიდა ხელი პოემის ინგლისურ ენაზე თარგმნას. ვეფხისტყაოსნის თარგმანის ავტოგრაფული ხელნაწერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არქივში წარმოდგენილია ორი, თეთრი და შავი ვარიანტით. ყურადღებას პირველ ვარიანტს მივაპყრობთ. იგი A-4 ფორმატის ქალაქის 302 გვერდს შეადგენს. რექტო და ვერსო მთლიანადაა შევსებული. დაწერილია თანაბარი, ერთნაირი კალიგრაფიული ხელით. შეიცავს პოემის 1581 სტროფს. ნაშრომს აქვს მთარგმნელის მიძღვნა, რომლითაც გვამცნობს, რომ თარგმანს უძღვნის მშობლების ნათელ ხსოვნას. მომდევნო გვერდზე არის ინფორმაცია, რომლითაც ვიგებთ, რომ მთარგმნელი ეყრდნობა მარჯორი უორდროპის ინგლისურ

ვერსიას, პოემის ორიგინალურ ქართულ ტექსტს (ოღონდ არ უთითებს რომელ გამოცემას) და ზვიად გამსახურდიას მონოგრაფიას “ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე” (თბილისი, 1984). შემდეგ მოდის სამგვერდიანი შესავალი წერილი „შოთა რუსთაველი“ მთარგმნელის ხელმოწერით. ხელნაწერი დათარიღებულია 2000 წლით. 2000 წელსვე ამ თარგმანიდან ფრაგმენტები (“პროლოგი” და “ავთანდილის ანდერძი”), ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურის ისევ დალი ინწკირველისეულ ინგლისურ თარგმანთან ერთად მედეა ზაალიშვილის რედაქტორობით ცალკე წიგნად დაიბეჭდა. ამ გამოცემას სპეციალური რეცენზია მიუძღვნა მაია ნათაძემ, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა თარგმანს.

რეცენზენტი იმ სირთულეებზე ამახვილებს ყურადღებას, ამ დონის ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნას რომ ახლავს თან. რეცენზიაში ვკითხულობთ:

მთარგმნელი ეყრდნობა მარჯორი უორდროპის ინგლისურ ვერსიას და განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს, რომ არ განმეორდეს უცხოურ თარგმანებში დაშვებული უზუსტობები – აზრობრივი და პოეტური. დედნის პოეტური სახის შეცვლაც ხომ არა ნაკლებ საზიანოა, განსაკუთრებით სიტყვიერი ხელოვნების ისეთ შედეგში, როგორცაა ვეფხისტყაოსანი, სადაც პოეტისეული ჭეშმარიტება ნაწარმოების სიღრმიდან მოდის მხატვრული ქსოვილის მეშვეობით დაწყებული სიუჟეტიდან ხატოვანების (ტრადიციულად დაკანონებულის თუ ინდივიდუალურ-ავტორისეულის) ასეთივე ბგერით ინტონაციური ხერხების მთელი სისტემის გავლით და ბოლოს უთვალავი ფაქიზი სტილისტური ნიუანსებით დამთავრებული ორ სხვადასხვა ენაზე, განსაკუთრებით ორ სხვადასხვა სისტემის ენაზე, როგორცაა ქართული და ინგლისური, ყველაფერი ამის გადმოსაცემი სინონიმური საშუალებები, ბუნებრივია, მხოლოდ აქა-იქ თუ მოიძებნება. ამიტომ მთარგმნელი იძულებულია ეძებოს გამოსახვის გზები. ამის მექანიზმი კი გულისხმობს ენის მარაგიდან საჭირო, ფაქტიურად ერთადერთი შესაძლებელი სიტყვის ამორჩევის და მის სხვა ასევე ნარჩევ სიტყვებთან კომბინირება-შეთავსების ხერხების პოვნას, რაც დალი ინწკირველის თარგმანის პირველივე სტროფებში მუდგანდება. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დალი ინწკირველის არქივი.)

მაია ნათაძის დასკვნით, „პროლოგის თარგმანში ზუსტი სემანტიკური და სტილისტური სინონიმების მიგნებით ადეკვატურად შენარჩუნებულია დედნის პოეტური დინამიკა და ინტონაცია, ამავე დროს შეფარულად გამოხატულია თვით ავტორისეული დამოკიდებულება და მხატვრული პოზიცია“ (Ibid.). ეს რეცენზია 1999 წლის 12 ოქტომბრითაა დათარიღებული, როცა მთარგმნელს

არ ჰქონდა დამთავრებული თარგმანზე მუშაობა. რეცენზენტი იმედს გამოთქვამს, რომ „წარმატებული თარგმანი რუსთაველის პოემის ორი ისეთი ურთულესი და თანაც განსხვავებული მონაკვეთისა, როგორც არის „პროლოგი“ და „ავთანდილის ანდერძი“, ვეფხისტყაოსნის მაღალპროფესიული პოეტური თარგმანის განხორციელების საწინდარია და ალბათ გარკვეული გარანტიაც“ (*Ibid.*)

როგორც არქივში დაცული დათარიღებული ხელნაწერი მოწმობს, 2000 წელს თარგმანი უკვე მზადაა გამოსაცემად. დალი ინწკირველი რამდენიმე წელი მუშაობდა ამ თარგმანზე. ჩანს, ეს სამუშაო ფაქტობრივად ერთობლივი პროექტის სახით იყო ჩაფიქრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრასთან ერთად. მის არქივში დაცულ ერთ-ერთ ავტოგრაფულ ჩანაწერში დალი ინწკირველი წერს:

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანის ფრაგმენტები და „ალუდა ქეთელაური“ ცალკე წიგნად უნდა დაიბეჭდოს, როგორც ეს შეთანხმებულია უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტებთან (რეცენზია დართულია). მომდევნო გამოცემები იქნება სერიული (7 სერიად) და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვა ცალკე წიგნად, რათა დაზღვეული იყოს შეცდომებისაგან. ამას გარდა, თარგმანზე მუშაობა კიდევ წელიწად-ნახევარი გაგრძელდება. (*Ibid.*)

დალი ინწკირველმა, როგორც მეცნიერმა, მთარგმნელმა და მხატვრული სიტყვის ოსტატმა, უდავოდ სოლიდური მემკვიდრეობა დატოვა. იგი არცერთი დროის მსახურებაში ისურვებდა ყოფნას, რადგან მისთვის ხელოვნებაში ერთი დრო არსებობდა. იმ ერთ დროში კი ხელოვნება სულიერებას უნდა ემსახურებოდეს. მისი კვლევის არსებითი თვისება საკვლევ ტექსტსა თუ პრობლემაზე ყოველმხრივი დაკვირვება იყო. კარგად ესმოდა, რომ მწერალი სტილი და ინტონაციაა, რომელიც ამა თუ იმ ეპოქის განუმეორებელ სტილსა და კოლორიტს ქმნის. მან იცოდა, რომ ყოველგვარი ტექსტი კონტექსტში უნდა წაიკითხო. რეჟიმი კი არა მხოლოდ ტექსტს, კონტექსტსაც აკონტროლებდა, უფრო ზუსტად, კონტექსტის მიმართულებით მზერასაც ბლოკავდა. „არ შეიძლება“ თავისთავად ბატონობდა ადამიანთა აზროვნებაში. დალი ინწკირველი ერთ-ერთი იმათგანი იყო, „არ შეიძლება“ რომ არ იგუა. ამით მან თავისი არც თუ ისე მოკრძალებული წვლილი დატოვა ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში კვლევის ისტორიაში.

La traduction comme dialogue interlingual et interculturel

ბიბლიოგრაფია

Shot'ha Rust'haveli, *The Knight in the Panthers skin* (Fragments). Vazha-Pshvela, *Aluda Ketelauroi*, Translated into English Dali Intskirveli, Editor – Medea Zaalishvili, Reviewer – Maia Natadze, Tbilisi, 2000.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დალი ინსკირველის არქივი.